

# ମାତ୍ରଗଣେଶ୍ୱର ମହାଦେଵ



ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთ „ხაშურის მოაბეის“ დამატება  
№7, 7 აბგისტო, ორშაბათი, 2023 წელი

# მურად – 70 – მთვარელიძე

## ამბავი მასზე და... ჩვენზე

, ნეტარია კაცი, რომელიც არ მისდევს უღმრთოთა რჩევას და ცოდვილთა გზას არ ადგას, არ ზის ავყიათა საკრებულოში...

და იქნება იგი წყლის ნაკადებთან დანერგილ ხესავით, თავის დროზე რომ იძლევა ნაყოფს და არ დაჭვნება ფოთოლი მისი...

და ყოველივეში, რასაც იქმს, წარმატებულია...

ულმრთონი ასე კი არ არიან: ბზეს წააგვანან, ქარისგან ალგვილს...  
უნცის უფალმა მართალთა გზა, ულმრთოთა გზა კი წარიხვეტება.”

... და არსებობენ ასეთი ამ სამყაროში, ჩვენს გვერდით, რომლებიც სიკეთის, ცოდნის, ნიჭისა და სიყვარულის ჩირალდანს ანთებენ ცხოვრების გზაზე, რომელიც შემდეგ გარშემოყოფათვის გზამკვლევი ხდება... და ასე იკვრება ღვთიური გონის უწყვეტი წრედი, როგორც უფლისა და კაცობრიობის ამოუხსნელი კავშირის მარადიული აუცილებლობა. ასეთ გზამკვლევად მურად მთვარელიძე ჰყავს ხაშურს, რომელიც მისი გვიანი შემოდგომის მიწურულს, ზამთრისპირულის გარიურაუზე იტყვის:

მახსოვეს, ყრმობისას, მზე იყო ირგვლივ,  
ნიავმა, მშვიდად, მინდვრის წამწამამ,  
გადამიშალა მდელოთა წიგნი  
და დედამინის ენა მასწავლა...  
მას შემდეგ წიგნებს ვფურცლავ და ვფურცლავ,  
ვუსინჯავ გემოს, ჰანგსა და ფერებს,  
სულ მარცვალ-მარცვალ და გრძნობაუცვლელ  
ვეფოფინები სიტყვებს და ბგერებს...  
და ახლა, როცა მიწყივ და მიწყივ  
შენკენ მოვიწევ, წულარ მანვალებ,  
გადამიშალე ეგ ზეცის წიგნი  
და ვარსკვლავების ენა მასწავლე...

„მურად მთვარელიძის პიროვნებაში ერთად არის თაგმოყრილი ნიჭიერება, შრომის მოყვარეობა, ერისკაცობა, ქვეყნისა და ქალაქის უზომო სიყვარული, - ეს არის საზოგადო მოღვაწის ქუმარიტი სახე.

სადაც კი უმოლვანია, ყველგან მისეული კვალი  
დაუტოვებია, ეროვნული სული, ენისა და მამულის  
სიყვარული, ჩვენი დიდი წინაპრების ღვაწლი  
გამოუშეურებია, ნიჭიერი ახალგაზრდები  
აღმოუჩენია და წარმოუჩენია.

დაუღალავი შრომით მოვიდა სახელი:  
პედაგოგის, სკოლების დირექტორის, განათლების  
განყოფილების გამგის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის.  
ასევე, აკაკი წერეთლის, ელიშე შერენცის, დიმიტრი ყიფიანის პრემიებისა და  
ქრისტიანული პოეზიის ფესტივალის პრიზიორის, „ლირსების ორდენის“, იაკობ  
გოგებაშვილის, დიმიტრი ყიფიანის მედლების ფლობის უფლება.

2011 წელს მურად მთვარელიძე მინვეული იყო იუნესკოს ხელოვნების, ლიტერატურისა და მეცნიერების კლუბის მეორე საერთაშორისო ლიტერატურულ კონგრესზე, საპერძეოთის ქალაქ ატლანტაში. მისი ნანარმოებები თარგმნილია რამდენიმე უცხო ენაზე. იგი ავტორია მრავალი წიგნისა, მათ შორის: მეცნიერულის, მხატვრულის: „ტიციანელო“, „მათი პოეზიის მუზა“, „დედაშვილობის მადლი“, „მეგავე“, „ხაშურის რაიონი და ქართული მწერლობა“, „რუსთაველი და ველხისტყაოსანი“, „დიმიტრი ყიფიანი – ლიტერატორი, „დიმიტრი ყიფიანი – კაცი ხასიათისა, „ხციულასპირა მოთხოვები“ , „თანამედროვე უფლისწული, ავტობიოგრაფიული რომანი „მათზე და ჩემზე“ და სხვა.

მურადის შემოქმედებას მაღალ შეფასებას აძლევენ ცნობილი ადამიანები: მეცნიერები, მწერლები... გორის 6. ბარათაშვილის სახელობის უნივერსიტეტის რექტორმა **გიორგი სოსიაშვილმა** განსაკუთრებულად აღნიშნა კოლეგისა და თანამშრომლის, პროფესორ ივანე (მურად) მთვარელიძის მოღვაწეობა:

„როგორც ქვიშებურის ღვთიურ მარცვლებში ჩაბუდებული ღვინობისთვის მზე, ისეა მისი ყოველი სტრიქონი პოეზიასა თუ პროზაში....

ტაშისერის საოცარი მთვარის ნათელი დასთამაშებს შეუდარებელ სახეებს და დიდი რუდუნებით გახედნილ სიტყვებს, ფრაზებს, – ეს მურად მთვარელიძეა, რომელზეც ხშირად მსმენია, როგორ ჩარჩა ხაშურში, როგორ არ გადავიდა დედაქალაქში!.. ვერ გადავიდოდა... ადვილი არ არის, მისი რანგის მწერალმა, ადგილის დედას მარტივად მიანებოს თავი! ქართლის ხოდაბუნების ხიბლი აღარ ექნებოდა მის ნაწარმოებებს. „მეიგავე“ ვეღარ დაიწერებოდა ასეთი თავანკარა ქართულით, გირკა ასეთ ბიოგრაფიულ ნაშრომს ვიხილავდით დიმიტრი ყიფვანზე...“

გარდა შემოქმედებითი ნიჭისა, მურადს აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის საოცარი უნარი. დიდი ხიბლი აქვს მის ლექციებს, სხვადასხვა სახის აქტივობებს.

მურად მთვარელიძის ინიციატივით, ყოველ შემოდგომაზე, ხაშურის სამუზეუმი გაერთიანებაში იმართება სამეცნიერო კონფერენციები, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ქართველი მეცნიერები, ისტორიკოსები, ფილოლოგები; შემდეგ ერთ წიგნად იპეჭდება კონფერენციაში მონაწილეთა ნაშრომები.

მურად მთვარელიძის ბეგრი საინტერესო წიგნი დღის სინათლეს ეღის...  
ვულოცავ ჩემს მეგობარს იუბილეს და ვუსურვებ ხანგრძლივ სიცოცხლეს და

ყველაფრის სათავე კი ხაშურის ერთ-ერთი უძველესი სოფლის ხცისის წინაპართა მადლიანი წარმოება აქვთ.

ს/აიულასპირას. შაძაროვან...

„ხცისი ჩემი წინაპრების სოფელია. აქ პაპა და  
ბაბო ცხოვრობდნენ და ჩვენი ყველაზე საყვარელი  
ადგილი და დრო აქაურობას, მათ გვერდით ყოფნას  
უკავშირდებოდა. ჩემი მეხსიერებაც სწორედ ხცისს,  
ჩვენს პატარა ხის სახლს, დიდ ეზოს და აღრეული  
ბავშვობის ზღაპარს კინოკადრებივით აცოცხლებს.  
ხცისი თრიალეთის კალთებზეა შეფენილი და იქ  
რომ მიხვიდე, მტკვარი უნდა გადალახო. მტკვარზე  
ბორანი მიღი-მოითის...“

და წლების შემდეგ, თითქოს ამ პორანს გადაჰყავს  
მურად მთვარელიძე ორ „მოძულე“ ნაპირს  
გარიდე ულ „მესამე ნაპირის კუნზ“:

„და ყოველ დილით წამოვდგები წელგამართული,  
რომ მუხლებიდან ჯოჯოსეთი ჩამოვიფერთხო...“

მანამდე კი... მტკვრის ხეობიდან სოფლის გზაზე  
ლექსო პაპის ზურგზე გოდორში მოკალათებული  
ყმაწვილი გასცერის სამყაროს და კავკასიონის  
თოვლიანი მწვერვალებით აღფრთოვანებული  
ობლო“ – ცხოვრების ლაიტმონტივად იქცევა ლექსო  
ში ჩაღიძებული უნებლიერ წინასწარმეტყველებაც მალე

რალი არ გამოვიდეს, ხო იცი შენა...“  
იყვარულთან ერთად, პოეზიის სიყვარული ჩაუქრობელ  
ა სულსა და გონებაში ისე, როგორც ხციულასპირას,  
ა ასეთი ნიმუშით ისე და.

ულასპირას, ტაძართან,  
ზე ნებივრად გორავს მზე  
თოფიფქინე ნისლები  
ან ელიაგორაზე.  
რად მდუმარედ მიდიან,  
აღმართი აქვთ მონაზვნებს  
ლა მტკვარია და, თითქს,  
ლი შედგა ბორანზე, –  
აინთენე ტყეები  
, ელიაგორაზე.

და იწყება ოცნება – არა ბავშვური, არამედ ეროვნული ცნობიერებით ნაკვები და მამულისთვის სასარგებლო სურვილებით სავსე, რომელიც გასული საუკუნის 70-ან წლების დასაწყისში ამოხეთქავს ჭაბუკი პოეტის გულიდან, პოეტურ პიტად იქცევა და ახალგაზრდების უბის წიგნაჟში დაიდებს ბინას:

**„რა მერატრება? ნეტავ ვიყო ბიჭი ფხოველი, რომ ხელმეორედ ავაშენო სვეტიცხოველა...“**

და ააგო მურად მთვარელიძე მისი წილი სვეტიცხოველი პოეზიაში, სამეცნიერო ლიტერატურასა და პედაგოგიურ მოღვაწეობაში. მრავალ ათეულ კრებულში გააპნია თავისი ნაყოფიერი ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა – სულისა და გონიერის ქურაში ნაწრობი და მოქიქული, რომელსაც მშობლიური კერის ღვთიური სისადავე ადგა შარავანდედად.

„ჩემი ბავშვობა, სიჭაბუკე და მთელი ცხოვრება ხაშურის რეინიგზელთა უბანია, ე. წ. ელექტროფიკაცია, სადაც დავიბადე, გავიზარდე და სადაც ვბერდები. ჩემი ცნობიერებაც სწორედ ამ უბანს და ამ ადამიანებს უკავშირდება.“

...ჩემი ნაომარი, ნაჯაფი, მაგრამ მხნე, გაუტეხელი, შემართული მამა მუხლჩაუხელდად შრომობდა. ომამდე, ჯერ კიდევ 16 წლის ბიჭმა, სავაგონო დეპოში დაიწყო მუშაობა. მერე არმიაში გაიწვიეს... დედა ბაბლიოთეკაში თერთმეტწლიან მოიღვნეობას თავს დაანებებს და, ასე შეიქმნება ჩემი იჯახი. არის 1946 წლის იქტომბერი...

სახლში ხუთი ვიყავით: მშობლები, მე და ჩემი ორი და – ნანი და მანანა. ჩემი მშობლები არაფრიდან იწყებდნენ ცხოვრებას. ისინი და მათი თაობის ადამიანები ქმნიდნენ და ადულაბებდნენ ქართულ ოჯახებს, რომლის უმთავრესი მამოძრავებელი სიმართლე და სიკეთე უნდა ყოფილყო და არა მატერიალური სიმდიდრე. ახლა, როდესაც ტრადიციებს და ზნე-ჩვეულებებს თანდათან ავიწყებენ ადამიანებს, მე განსაკუთრებით ვფიქრობ ჩემს მშობლებზე, რომელთაოვისაც სინდის-ნამუსი და ერთგულება უპირველეს ნიშან-თვისებას წარმოადგენდა.“

ახლოვდება ის უამი,  
როს თქვენს გვერდით დავწვები...  
მიმღერებენ შინდები,  
მიტირებენ ანწლები.  
გული თქვენთან იქნება,  
სულით მთვარეს ავწვდები,  
ძონს იხვევებ შინდები  
და შავ გამრებს ანწლები.  
მერე აცრემლდებიან  
ორლობეთა წაწლები,  
ახლოვდება ის უამი,  
როს თქვენს გვერდით დავწვები...  
ჯერ კი, ჯერ კი, ცხოვრებას  
ჩემის ქედით ვაწვები,  
შინდებს ჩემ დანახვაზე  
უწითლდებათ ღაწვები...  
და ჯერ ისევ ყვავიან  
ეს შავტუხა ანწლები.  
მიდის, მიდის ზაფხული  
მზის სხივების კანრებით,  
მიმღერიან შინდები,  
მიღიმიან ანწლები!..

გორის 6. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი ერთდროულად გულის და ცოდნის კარს უსლებს სანქლასმოწყურებულ, მიზანსწრაფულ, მრომისმოყვარე და პოეტურ სენტიმენტებით აღსავს ახალგაზრდა კაცს.

– გაუფირმეთ უმაღლესი შეფასება, რა ბედნიერებაა, რომ ნაწერმა და ზეპირმა გამოცდამ ერთნაირი შეფასება დაიმსახურა. თანაც, ეს ყმაწვილი პოეტია.

– პოეტი? – რა იცით?  
– მის ნაწერს საკუთარ ლექსს ურთავს. მე ის ერთი სტრიქონიც ძალიან მომწონს, – ამპობს პროფესორი დავით თევზაძე, ქართული ლიტერატურის კათედრის გამგე, ცნობილი მკლევარი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, შემდეგ ჩემი ცხოვრების მასწავლებლადაც რომ იქცევა და ყველაფერს გააკეთებს, რომ მე მეცნიერებაში გზა გავიკვლიო.

და ასე, თანდათან, შემოდიან მურად მთვარელიძის ცხოვრებაში საოცარი ადამიანები, საქმის პროფესიონალები, პოეტები, პროზაიკოსები, ჭეშმარიტი პატრიოტები, ხელოვანები, აკადემიკოსები, პროფესორები და მისი მეგობრები ხდებიან: **დავით თევზაძე; ალექსანდრე ბარამიძე; ლევან ბრეგაძე; ლიანა ბახტაძე; ნუნუ ოქროპირიძე; ნათელა ონაშვილი; მანანა ჩიტიშვილი; ნიტა ტაბიძე; რუსუდან ჯავახიშვილი; ოთარ ჩეხიძე...**

### თარ ჩეხიძის ლექციაზე

შემოვა, როგორც გუთნის დედა, სიტყვის მინდია და ზეცის გახსნას ემსაგასება მისი შემოსვლა, სათვალის მიღმა ჩაბუდებულ მზერას, ბინდიანს მამულზე ფიქრო უჩინარი ნათლით შემოსავს. მხრებზე მამულის სადარდელი შემოუცვია, მდინარეს აღმა მიუყვება, უყვარს ზემოსვლა, ისიც ლოცულობს, ასე ჩუმად, ასე უჩინოდ, სადაც წინაპარის საბაზო მიმდინარე უნდა ელოცა. მისი სავალი თურმე, მართლაც, ბენგის ხიდია, მისი სათქმელი – სამამულე წყლულის შელოცვა, ვკითხავთ: „მოძღვარო, ქართველები საით მივდივართ?“ სიტყვას დაგვიგდებს: „მოუარეთ საქართველოსა!“

„რა დღო გასულა, მურად! ნუთუ ორმოცი წელი გავიდა, რაც შენი და ჩემი მეგობრობა დაიწყო, როგორც სტუდენტისა და ლექტორისა, რომელიც შემდეგში წმინდა ადამიანურ მეგობრობაში გადაიზარდა...“ – ლიანა ბახტაძე

„მეორ კურსზე, ჩემს სტუდენტურ ცხოვრებაში ჩემთვის საინტერესო ამბავი ხდება. ერთ დღეს ენათმეცნიერებისა და გერმანული ენის ლექტორი, დოცენტი ნუნუ ოქროპირიძე თავისთან მიხმობს და მუზნება, რომ მიიღო გადაწყვეტილება ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებას მე უუხელმძღვანელო. მეორ კურზე ვარ, ოქტომბერია...“

...დაიწყო ძალიან საინტერესო და შინაარსიანი ცხოვრება. ქ-ნ წუნუს ხელმძღვანელობით ვეგმავდი ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებს, ვადგენდი სექციებს. პირველივე კონფერენცია წარმატებით ჩავატარეთ. გვყავდნენ სტუმრები სხვადასხვა ინსტიტუტიდან. ჩვენც მივდიოდით სტუმრად სხვა უმაღლეს სასწავლებლებში და იქ ვკითხულობდით ჩვენ მიერ მომზადებულ თემებს, ვმონანილეობდით სტუდენტთა რესუბლიკურ კონფერენციებში.“

სამეცნიერო სფეროს პარალელურად პოეტური მუზაც არ ტოვებს ახალგაზრდა შემოქმედს და ტატოსეული მერანიც უფრო მეტად შლის ფრთებს.

### ერთი დღის მოგონება

გახსოვს მცხეთა? – როგორ გვსურდა იქ ორივეს დარჩენა, სვეტიცხოვლის დანახვაზე რომ აგვტკივდა მარჯვენა. გახსოვს? – რაღაც გვაწვალებდა, სიყვარული კი არა, ჯვარმა ერთად გაგვასენა მაშინ ყველა იარა, ზედაზენზე მზეს ვკოციდით, არმაზს ვხოცეთ ირემი, შემოგფიცე, შენი ტროფიბით კვლავაც გადავირევი. საგურამოს გზაწვრილებიც ფართოდ გადაშლილია, იმ ხეებთან ძველებურად ისევ სუნთქვას ილია... გახსოვს მცხეთა? – გვაწვალებდა სიყვარული კი არა, ჯვარმა ერთად გაგვახსენა ფერნასული იარა.

### წარმატების ბილიკებით

„1978 წელია...“

– ამ ყმაწვილს ჩვენ დავიტოვებთ ინსტიტუტის განკარგულებაში. – დავით თევზაძემ მაშინდელ 6. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, დღევანდებულ უნივერსიტეტში, სპეციალურად ჩემთვის დაშვებული კურსის „ქართული პოეზიის“ ლექტორად ამიყვანა და სამეცნიერო კარიერისაკენ მიმავალ გზაზეც თვითონ წამიძღვა. იმთავითვე განისაზღვრა ჩემი სფერო, „ძველი ქართული ლიტერატურა“. მაშინ ახალგაზრდა ვიყავი და ერთდროულად შემეძლო, ლექციებიც მევითხა, სიფლის სკოლაშიც მემუშავა, დისერტაციაც დამეწერა და აბიტურიენტებიც მომეტზადებინა.

...1986 წლის 28 იანვარს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, ჩემი საკანდიდატო დისერტაციის დაცვა დაინიშნა. საერთო ოვაციის ფონზე ბ-ნ ალექსანდრე ბარამიძე გადამეცვევა და მილოცას.“

1997 წელს კი, მურად მთვარელიძე სადოქტორო დისერტაციას დაიცავს.

„მურად მთვარელიძე ინსტერესმრავალი ადამიანია: პოეტი, პროზაიკოსი, მეცნიერი ფილოლოგი, ხაშურის ისტორიკოსი, ხაშურის მხარეთმცოდნების მუზეუმის ან უკვე მთელ საქართველოში ცნობილი სამეცნიერო კონფერენციების დამფუძნებელი და ორგანიზატორი, კოლექციონერი, მრავალი წიგნისა და მეცნიერული გამოკვლევის ავტორი (ჯერ მარტო ქვიშების დიდი ბინადრის – დიმიტრი ყიფიანის შესახებ დაწერილი მისი ბიოგრაფიული რომანი რად ლირს!)...“

ამჟამად იგი გატაცებით მუშაობს წიგნზე, რომელშიც მოთხოვილი იქნება, როგორ არის ჩართული (ინტეგრირებული). ქართველი კაცის ყოველდღიურ ყოფაში „ვეზებისტყაოსანი“. ვგრძნობ, ეს იქნება ხალხისა და უკვდავი პოემის ერთიანი თვალსაჩინო დასტური, რომლის მსგავსი ცოტა თუ იცის კაცობრიობის ისტორიამ.

მრავალი სხვა ჩანაფიქრის წარმატებულ აღსრულებას უსუსურვებ ნაყოფიერ შემოქმედს, 70 წლის იუბილარს!“ – პროფესორი ლევან ბრეგაძე.

ბიოგრაფიას და საოცარ მოლვანებისა, აღფრთოვანებისა და სიამაყის განცდა კიდევ უფრო მიძლიერდება! ეს ხომ ჩვენი, ჩვენ გვერდით, ჩვენს რეალობაში მოღვაწე ადამიანია, რომლის ნიჭი, ერუდიცია და შრომისმოყვარეობა ნებისმიერ დიდ ქალაქს დაამშენებდა! ყოველთვის მიკვირდა, ასე, ერთნაირად მაღალ ხარისხში როგორ უთავსებდა ერთმანეთს სამეცნიერო მუშაობასა და მხატვრულ აზროვნებას! ხელოვნება ხომ გულის სისხლს მოითხოვს! მისი ბიოგრაფიის ნაწილი, მის უნიჭიერეს თათიასთან ერთად, ჩვენ – მის შეგირდებს გვეკუთვნის: ცირა ბარბაქაძე, გიორგი ლობჟანიძე, მაია ნიქარიშვილი, ალექსანდრე კაკიაშვილი... კიდევ ბევრი, მისგან სულიერებას ნაზიარები ახალგაზრდა.

„7 თებერვალი, 1989 წელი: რაღაც პოეტური დღეა, საოცარ პოეტური. ასე მგონია, ჩემ გარშემო ყველაფერი პოეზიით სუნთქვას...“

დღეს გიორგი მოვიდა ჩემთან... ნინა საღამოს დაწერილი ლექსი წამიკითხა. კითხულობს ლექსს და შინაგანად განიცდის. ახალი სახეები, ახლებური რითმები, ყოველივე ეს მის ლექსს უკვე სძენს განსაკუთრებულობას...“

„ეკა თეთრ ლექსს მიკითხავს აღმაშენებელზე. არის ზამთარი, ცივა, ჩვენ ქუჩაში ვდგავართ და ეკას არტისტულად წაკითხულ ლექსს ვისმენ. აღარსად არის სიცივე, თითქოს ყველგან თბილა.“ – ეს ფრაზები მუდამ გაფანტავს შევი ხერელების საკვამურიდან დროდადრო ამოხეთქილ ჩრდილებს... – ეკა ბაქრაძე.“

„მე გამიმართლა, რომ ჩემი მასნავლებელი იყო პოეტი და მევლევარი მურად მთვარელი და ბავშვობიდან მომევლინა ჩემი შემოქმედების პატრონად.“ – ცირა ბარბაქაძე.

„როგორ შეიძლება თქვენი ამაგის დავინუება! ლამის ხელჩაკიდებულმა მიმიყვანეთ სტამპაში, ჩემს ლექსებთან ერთად. ადამიანში ნიჭიერების დანავის უბადლო ოსტატი ბრძანდებით... ერს თქვენნაირი პიროვნებები სჭირდება!“ – დოლო დანელია.

### რაც უფრო ღრმაა, ხმაურობს ნაკლებს...

პიროვნების წარმატებასა და საზოგადოებაში მისთვის კუთვნილი ადგილის დამკვიდრებას, ნიჭითან და მუხლჩაუხერელ შრომასთან ერთად, ის გარემო, ადამიანები და ურთიერთობები განსაზღვრავს, მისი მომავლის საძირკვლად რომ იქცევა. სწორედ ასეთი საძირკველი იყო მურად მთვარელისთვის გასული საუკუნის 70-ანი წლები, რომელსაც იგი მადლიერებით იხსენებს:

„გასული საუკუნის 70-ანი წლების ხაშური, როცა მე საზოგადოებაში ტრიალი დავინუე, მეგობრობის ნამდვილი სამჭედლო იყო. ამ თაობის მეგობრობა მართლა განსაკუთრებული და სამაგალითოა. ისინი, რასაკვირველია, ჩემზე უფროსები იყვნენ, ზოგიერთი მათ შორის ჩვენი მამების თაობასაც წარმოადგენდა, მაგრამ მე და ჩემი მეგობრები ისე მიგიღეს, თითქოს მათი ტოლები ვყოფილიყავით.“

ახლა რომ ვფიქრობ, რა გვართიანებდა ამ განსხვავებული ასაკის ადამიანებს, – ეს იყო მასულიშვილობისა და ურთიერთპატივისცემის შეგრძნება, რომელიც იმ თაობას ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი და ჩვენც ამ გზაზე ვიდევეთ.“

ასე დაიწყო გზა მწერლობიდან ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორობამდე, მაშინდელი განათლების განყოფილების გამგეობიდან სკოლების დირექტორობამდე, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსობიდან გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრულ პროფესორობამდე, ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების მმართველის მოადგილობამდე, სამეცნიერო მუშაობის დარგში. ამ არასრულ ჩამონათვალს შორის, ყველაზე საბასუხისმგებლო სხვადასხვა წლებში ხაშურის სკოლების დირექტორობა იყო, სადაც პოეტმა-მეცნიერმა განათლების, ესთეტიკისა და თაობათა შორის ურთიერთობების აკადემია დააფუძნა.

ხაშურის მე-3 და მე-9 (მაშინდელი მე-6 და 25-ე) სკოლების ინტერიერი საქართველოს ისტორიის, ქართული მწერლობისა და კულტურის მუზეუმად იქცა, არაჩვეულებრივი პოეტური გაკვეთილებითურთ. ხაშურ-ქალაქი კი მურად მთვარელის მიერ ორგანიზებული ლიტერატურული დღესასწაულების მექა გახდა.

### ლირსება

ეს მდინარეს ჰქონდა, – ამბოს ერთი ანდაზა ძველი, „რაც უფრო ღრმაა, ხმაურობს ნაკლებს...“ და წუთისოფლის შარას გასდევს სიზმარი გრძელი, ვუახლოვდები გასაფრენად გაღებულ სარკმელს... და სულიც – ასე სევდიანი ფსალმუნის მზმელი სურნელს საოცარს და სასწაულ სინათლეს აკმევს, ღირსება მოჰყვავს მდინარესო, – მეუბნება ანდაზა ძველი, რაც უფრო ღრმაა, ხმაურობს ნაკლებს.“

„მურად მასნავლებელო, მინდა, საოცრება გინოდოთ. ეს საოცრება ყველაზე მეტად მაშინ ჩემის თავს როცა გაკვეთილის დაწყების ზარი ირეკება... მიყვარხართ!..“

„მიყვარს თქვენი სიტყვა, თქვენი ლექსი, თქვენი რითმა, თქვენი ფიქრი მიყვარს... მაგრამ ყველაზე მეტად თქვენში ჩემი ქართულის მასნავლებელი მიყვარს... წლების შემდეგ გიხდით მადლობას!“

„შაბლონური გაკვეთილების ნაცვლად, ქართული სიტყვის, ქართული სულის, ქართული ბუნების ზეიმი გაჩჩეულ. მშობლიური ლიტერატურისა და ისტორიის ღრმა ცოდნასთან ერთად, პოეტი კაცის პოეტური სამყაროს თანაზიარი გაგებადეთ.“ – ამ ბარათებს, საყვარელი დირექტორით აღფრთოვანებული, სკოლის მოსწავლეები დანერენ.

„ქეშმარიტად მიხარია, რომ ჩემი სკოლის დიდებული მესაძირკვლის – განსვენებული ლევან კაკიაშვილის საქმის ღირსებული გამგრძელებელი ბრძანდებით. გვჯერა, თქვენი ერუდიციის წყალობით წინსვლა და სახელი არ მოაკლდება სკოლას. თქვენი ძარღვიანი პოეტური სიტყვის მადლი გაჰყვება მომავალ თაობას.“ – იტყვის უნინდელი 25-ე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის ყოფილი პედაგოგი,

ლეგენდარული ელენე ლაბაძე, როდესაც მურად მთვარელი იმავე, ან უკვე მე-9 საჯარო სკოლას დირექტორად მოევლინება, მაშინდელი განათლების სამინისტროს პირდაპირი გაფრთხილებით (თითოები დაქნევას რომ უფრო ჰქონდა):

„განათლების სამინისტროს თანამშრომლებმა ახლადარჩეულ დირექტორებს თათბირი ჩაგვიტარეს, სადაც პირდაპირ გავგაფრთხილების, რომ სკოლიდან უნდა გავიდეს ყოველგვარი ეროვნული და რელიგიური დანიშნულების მქონე სიმბოლო, რომ სკოლა გადადის ახალ პლატფორმაზე... მტკიცედ გადავწყვიტე, რომ სიცოცხლის ფასადაც რომ დამჯდომოდა, მაინც ამ გზით წავიდოდი.“

ეროვნული და რელიგიური ფასეულობების გაძევების ნაცვლად, ეროვნული ცნობიერების აღმოჩნდინებისა და გამობრნებინების ხანა დაუდგა მე-9 საჯარო სკოლას. ისხენბა იაკობის, აკაკის, ილიას დარბაზები, რომელთა კედლიდან და თავიანთ ზესამყაროში თავადვე წაგიძლებიან.

„ცნობილ არტისტებსა და მომლერლებს რომ ამდენ ვარსკვლავს უხსნიან, რატომ არ შეიძლება, მასნავლებლებსაც გავუხსნათ მათი სახელობის ჩირალდნები? ასე დაიწყება სამზადისი სკოლაში ჩირალდნის დარბაზის გასახსნელად. პირველი ღონისძიება სკოლის ყოფილ პედაგოგს, სიტყვიერების უბალო მასნავლებლებს ელენე ლაბაძეს ეძლება, ის 80 წლის წევები! ეს პირველი ჩირალდნია, მაგრამ ჩემი სკოლიდან წამოსვლამდე მის გასწვრივ კიდევ რამდენიმე, ასეთივე ჩირალდნი გაისაზრის და ლამაზად დაეწერება ამ მასნავლებლების სახელები: „ნინო თუმანიშვილი“, „ლიანა ტატიშვილი“, „ლევან კაკიაშვილი“, „დონარი რომელაშვილი“. ამ დარბაზებს კი დამთვარიელებელი არ ელევა...“

რუსულან ფოცვერაშვილი: „ღმერთმა გაცოცხლოს, მურად! წინაპართა აჩრდილებს დავიწყების ფერფლი რომ გადააცილება და ერთხელ კიდევ დააბრუნება ამ ქვეყანაში.“ – და ეს ყველაფერი მაშინ, „როცა ირგვლივ უკეცებების ჩირალდნის ჩამოყალიბებას,“ – იტყვის მწერალი და საზოგადო მოღვაწე ჩზია ხეთაგური.

„ბეჭდინერებაა, იყო იმ ქალაქის სახე, რომელშიც ცხოვრობ, მაგრამ ეს ბეჭდინერება უნდა მოიპოვო, დაიმსახურო თებერვალით!“ – ელდინო საღარაძე.

„მურად, ძალიან შემეშინდა... ამ ყველაფერს შენ არ გაატივიებენ!“ – მანანა დანგაძე. „მურად, ძალიან შემეშინდა... ამ ყველაფერს შენ არ გაატივიებენ!“ – მანანა დანგაძე.

„მ. მთვარელი მწერალი წლები შეალია ახალგაზრდების, მათი ცნობიერების ჩამოყალიბებას,“ – იტყვის მწერალი და საზოგადო მოღვაწე მზია ხეთაგური.

„ბეჭდინერებაა, იყო იმ ქალაქის სახე, რომელშიც ცხოვრობ, მაგრამ ეს ბეჭდინერება უნდა მოიპოვო, დაიმსახურო თებერვალით!“ – ელდინო საღარაძე.

„მურადმა უაღრესად საინტერესო მასალები მოიპოვო ჩემი სათავი, აჩრდილების

### ყანის ტალღებზე აგორდა ქარი...

„არსებობს ურთიერთობები, რომლებიც თითქოს შენი ცხოვრების პარალელურად ვითარდებიან, შენ მათში ირჩად მონაწილეობ, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს აღმოაჩენ, რომ ეს ურთიერთობებია სწორედ ის უმთავრესი, რაც ცხოვრების სიძნელების გადალხვაში გეხმარება... არის წუთები, როცა გრძნობ, რომ სადღაც მზე ჩაქრა, დაბანელდა და წამიერად, წყვდიადთან ერთად, სიცივემ გადაუარა სამყაროს.

არის წუთები, როცა გრძნობ, რომ რაღაც, მართლაც, დასრულდა შემში და, რომ ის, რაც დასრულდა, ამავე დროს, არის ის სინათლე, რომელიც მომავლისაკენ გზის გაგნებაში უნდა დაგეხმაროს. ასე, სინათლესა და სიბრძლეს შორის ხარ რამდენიმე წუთი და მერე გონება თავისით იწყებს ამ სიბრძლიდან ნათელი წერტილების გამოხმობას, რომელიც ერთ დიდ შუქურად იქცევა... ჩემდა სამწუხაროდ, ცხოვრების უსამართლობამ თუ დაუნდობლობამ ბევრჯერ მამყოფა ამ ბნელისა და ნათლის მიჯნაზე...

... 2011 წელი – ეს სკოლასთან ჩემი დამშვიდობების წელია. 33-წლიანი სასკოლო პედაგოგური მოღვაწეობის დასასრულია!.. ერთი დიდი ეტაპის დასასრული..."

ყანის ტალღებზე აგორდა ქარი,  
ვერ მოერია მერე ამ ყანას,  
იქ, ხეობაში შევარდა ზარით,  
ფეხვეულ მოიგდო მთელი ქვეყანა  
და თრიალეთის ვიწროებიდან  
მზე წესტანივით გამოიყვანა...

ბიჭი-ფხოველი სვეტიცხოველის დანგრევის მოსურნეთაგან, „რატომ კარგი აგიგიას“ პრინციპით, უსამართლოდ ნატკენ სულს მოსათქმელად უცხოეთის ცას მიაწყობს.

### უბეში შენახული საქართველო

„პატისიონის ქუჩაზე, ათენის ცენტრში, პატარა საქართველოა და იქ შეკრებილი ქართველები ქართული სიტყვის სურნელს განსაკუთრებულად გრძნობენ. განთლებისა და კულტურის ცენტრ „კავკასიაზე“ ათენელები ამბობენ, რომ იქ მათ პატარა საქართველო ხვდებათ და ამიტომაც მისკენ განსაკუთრებით მიუხარიათ...“

ათენში ჩემი მოღვაწეობა რუსთაველის მეგობართა საზოგადოების შექმნით დავიწყე. საბერძნეთის საზოგადოებრივ რადიოს ერთ-ერთ არხზე ყოველ შაბათს ერთი საათი ქართულ გადაცემებს ეთმობა...“

ამ გადაცემაში მე ვიქება ერთგვარი მიმომხილველი მნიშვნელოვანი თარიღებისა და ვისაუბრებ იმ ადამიანებზე, ვისი დაბადების დღეებიც იმ ერთ კვირაში იქნება.“

„ბ-ნ მურად, როგორც ყოველ შაბათს, დღესაც უსმინე რადიოს. ერთი საათის განმავლობაში ვიყავი ქართულ სამყაროში, არაჩვეულებრივი სასმენი იყავით თქვენც და თემაც!“

„რა ბედნიერება იქნებოდა, მთელი დღე მესმინა ასეთი ნიჭიერი ადამიანებისთვის... მადლობა ასეთი სასიამოვნო ერთი საათისთვის.“

„ეუსმინე და ერთი საათით გადავბარგდი იმ ბავშვობაში, როცა მხოლოდ ტელევიზორი გვქონდა და ყოველ კვირას დილის საათებში ვუსმენდი პროფესორ თამაზ კვაჭანტირაძე... დიდი მადლობა სასიამოვნო ლექციისთვის.“

„დიდი მადლობა, ბატონო მურად, გუშინ, თქვენი წყალობით თითოეული ჩვენგანი ჩვენს უბეში შენახულ საქართველოს მოვეფერეთ.“ – უცნობი ემიგრანტი ქართველების ემოცია განუზომელია!

და ასე ენაცვლება ერთმანეთს შაბათობით: მირზა გელოვანის, გალაკტიონის, ანა კალანდაძის, იოსებ ნონეშვილის, ლევან გოთუასა და სხვათა შემოქმედებისა და მოღვაწეობის მიმოხილვა. სამშობლოს ნოსტალგიას ამ საოცარი ტკივილით აღსავსე ლექსით იკლავს პოეტი:

### უცხოეთიდან

მანდ ვიყავ, თავად ვტიროდი,  
ნამოველ – გამომტირე,  
წყენა არ მაქეს მცირედიც,  
ვარ ისევ შენი მესტვირე.  
მანდ ვიყავ, გულად მზე მენთო,  
აქ ჩემთვის დარიც არ დარობს,  
მანდედან ცას გავყურებდი,  
აქ ფეხვეულ გდია სამყარო.  
ჩამოვალ, კვლავ გავამაგრო  
შენი სიმტკიცის სვეტი რომი...  
ხელს წულარა მერავ, ოღონდაც,  
რომ აღარ გამომტირო...

„ყვავილები გამოიტანეს სკოლაში, მათ შორის, ის ყვავილებიც, თქვენ რომ განსაკუთრებით გიყვართ. თქვენ მარტო ამ ყვავილს კი არ მიეცით სიცოცხლე, არამედ მთელ სკოლას... თქვენ რომ არ ყოფილიყავთ, მერწმუნეთ, ახლა რასაც აქ ვხედავთ, მისი მსგავსიც არაფერი იქნებოდა...“ – მე-9 საჯარო სკოლის მოსწავლებს შორის, ყველაზე ერთგულის სტატუსით მათან წიქარიშვილის გზავნილი აერთიანებს ახალგაზრდების უსაზღვრო მონატრებას, რომლის ადრესატი მათი ყოფილი დირექტორი მურად მთვარელიძე.

ამ დროს ათენში ულამაზეს გაზაფხულია... „ლურჯი აპრილი შენს თავს მაგონებს,“ – ამ სათაურით მურად მთვარელიძეს ლირიკული საღამო გაიმართა ქართველი ემიგრანტებისათვის ათენის ქართველთა ცენტრის დიდ დარბაზში, ამ და კიდევ სხვა საღამოების შთაბეჭდილებებით აღსავსე ბარათები სამშობლოში დაბრუნებულს უსწრებს წინ:

„თქვენ ხომ სულიერი სამყარო შეგვიცსეთ, გაგვილამაზეთ, გაგვამხნევეთ, რომ ჩვენ, ამ შორეულ ქვეყანაში გადმოხვეწილებს, თურმე შეგვძლებია რაღაც... ულრმესი მადლობა ათენის ქართველებისაში...“

„მურად მთვარელიძე „კავკასიაში“ ჩირალდანივით ააგიზგიზა ქართული ლექსი, ქართული პოეზია. მისი ლექციები უმნიშვნელოვანეს და ულამაზეს ფურცლებად იქცა საპერძეოთის ქართული დიასპორის ისტორიაში.“

აქ კი, სამშობლოში, სულმოუთქმელად ელიან მის დაბრუნებას, რადგანაც:

„ასეთი ადამიანები ასულდებულებენ მთელს ქვეყანას. თუ არა მისნაირი მებალეები, ცხოვრება ჩირალდაც არ ელირებოდა... მებალესთან ურთიერთობისას ყველა გამყიდველმა თავი თვითონვე გასცა, ერთგული ადამიანები სიტუაციებში წარმოაჩინა და ყველა და ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა...“

ივლის მებალე, მოძების ისეთ ალაგს, სადაც ძალიან სჭირდებათ, უსულდებულო ადგილს სიცოცხლეს შთაბერაცს, ხელოვნების ნიმუშად აქცევეს და ადამიანებს ბედნიერებასა და სიხარულს აჩუქებს, ყველგან სიეტის მარცვალს დათესავს, უფლისაგან ნაბოძებ ნიჭს ყველას უშურველად დაურიგებს და ამით თვითონვე იქნება ბედნიერი. არ გამოილევა მასში ღვთის მადლი და თავადაც ლმერთთან იქნება თანაზიარი...“ – ხათუნა ჩიტაძე.

„მივდივრ საშობლოში. გული საგულეს არ მაქვს... ამ დიდებას მაინც იქ სიბერია მირჩევნია... და იწყებს ჩვეულებრივი ხაშურული ცხოვრება...“

თუმცა, არცთუ ჩვეულებრივია სამეცნიერო თუ სამწერლობო საქმიანობაში კვლავ ინტენსიური ჩაბამი, მათ შორის, რადგენიმე კონფერენციის მუშაობაში მინაწილება.

პატივაყრიდლი სამართალი კი, რატომძლაც, პურისჭამას აჭიანურებს...

და კვლავ გორის უნივერსიტეტი, პარალელურად, ხაშურის სამუზეუმო გაერთიანება, უაღრესად საინტერესო ლექციებით და მთავარი უცვლელები მისია, ცხოვრების წესად ქვეული: ლიტერატურული ნიჭისმქონე ახალგაზრდების წარმოჩენა.

„ამ წიგნის დაწერა თქვენ შთამაგონეთ,“ – ეტყვის ადვოკატი ეკა ლაცაბიძე და მშვენიერი სალიტერატურო ქართული ენით დაწერილ თავის კრებულს – „ადვოკატის ჩანაწერები“ აჩუქებს... მოგვიანებით კი, ალექსანდრე კაკიაშვილის შემოქმედების ხომალდს უკიდეგანო ოკეანეში მურად მთვარელიძე მოევლინება კაპიტონად.

„ძვირფასო კაპიტანო!

სალამს გიძლვნით უკიდეგანო ოკეანიდან... რომ იცოდეთ, რარიგ მსურს, ამ გრძნეულ წყალთა სიუხვეს ერთად გავუთით ლამე, ერთად შევებრძოლოთ ფსკერიდან ამოხეთქილ, ზვირთებად ქცეულ მღელვარებას და ნიჩბის მკვირცხლი მოსმით ერთად გავიკვალოთ გზა საოცნებო ნაპირისკენ... თქვენც ხომ მარტოდმარტებშე შეაცურეთ ფიცრის კონა ამ დაუნდობელ ზღვაში და შეუპოვრობით განაპიროეთ. თავს არ მიეცით უფლება, რომ თქვენს მომცრო ნავს მომდგარ, გრძნეულ ზვირთებს დანებებოდით, შეუვალი რწმენით გაიკვლიეთ გზა საოცნებო ნაპირისკენ და ნაპირის მიახლოებულმა, სამზიანოს ჰყიდეთ ღუზა.

„ძვირფასო კაპიტანო!

ჩემო კაპიტანო...  
შეუაღამეა...  
ჩემი პატარა ნავის კიბისთან ნაპოვნი თაბაზი ბოთლში მოვათავსე, ჭეშმარიტი მეზღვაურის რწმენით აღდესილმა, მღელვარე იყენის აზვირთებულ ტალღებს მივანდე ჩემი წერილი და ნიჩაბთა მკვირცხლი შენაცვლებით სამზიანოს გამოვეშურე...“

მე მატროსობას დავჯერდები, თქვენ კი მუდამ ჩემი კაპიტანი იქნებით!..“ – ალექსანდრე კაკიაშვილი.

და ახლა, სულში 70-ე მკათათვე